საქართველოს მთავრობის

დადგენილება №367

2014 წლის 6 ივნისი

ქ.თბილისი

ბორჯომის საბადოს მინერალური წყლის №1-21 უბნების სანიტარიული დაცვის პირველი ზონის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

,,კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს ბორჯომის საბადოს მინერალური წყლის №1-21 უბნების:

ა) სანიტარიული დაცვის პირველი ზონის რეჟიმი და საზღვრები (დანართი 1);

ბ) სანიტარიული დაცვის პირველი ზონის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ნუსხა (დანართი 2);

გ) სანიტარიული დაცვის პირველი ზონის ტერიტორიაზე აკრძალულ ღონისძიებათა ნუსხა (დანართი 3).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი 1

ბორჯომის საბადოს მინერალური წყლის №1-21 უბნების სანიტარიული დაცვის პირველი ზონის რეჟიმი და საზღვრები

თავი 1. სანიტარიული დაცვის პირველი ზონის რეჟიმი

1. პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც მდებარეობს საექსპლოატაციო და დასაკვირვებელი ბურღილების ირგვლივ. ზონების მოწყობის მიზანია არსებული ბურღილებისა და მათი ჰიდრომინერალური მეურნეობის (კაპტაჟების, რეზერვუარების, სატუმბო დანადგარების, გამზომი აპარატურისა და სხვ.) საიმედო სანიტარიული დაცვა. ზონები უნდა კეთილმოეწყოს და შემოიღობოს. ზონის ტერიტორიის ზედაპირის დაქანებამ უნდა უზრუნველყოს ტერიტორიიდან ატმოსფერული ნალექებისა და ზედაპირული წყლების სწრაფი მოცილება.
2. პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონის ტერიტორიაზე დაშვებულია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული სამთო და მიწის სამუშაოები, ნაგებობების მშენებლობა (კაპტაჟები, საკაპტაჟე ნაგებობები, სატუმბი სადგურები, მილგაყვანილობა, რეზერვუარები, სააბაზანო ნაგებობები, სასმელი წყლის გალერეები და ბიუვეტები, ესტაკადები და სამკურნალო ტალახის მოპოვებისა და გამოყენების სხვა დანადგარები), ნაპირსამაგრი, ეროზია- და მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაოები, აგრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებებისა და საპარკო მოწყობილობების მშენებლობა და შეკეთება.
3. იმასთან დაკავშირებით, რომ №№1,21 და 21-ე ბურღილებზე მოწყობილია სასმელი ბიუვეტები, აქ დასაშვებია დამსვენებლების დროებითი ყოფნა სამკურნალო პროცედურების მისაღებად. დანარჩენ ბურღილების ზონებში აკრძალულია გარეშე ფიზიკური პირების ყოფნა და საქმიანობა.
4. პირველ ზონაში აკრძალული საქმიანობის ნუსხა დგინდება ამ წესის მე-3 დანართში.

თავი 2. ბორჯომის საბადოს მინერალური წყლის №1 უბნის სანიტარიული დაცვის პირველი ზონის საზღვრები

მდებარეობს სოფ. ლიკანის სასაფლაოს ჩრდილოეთით, მდ. საყდრისღელეს მარჯვენა ნაპირზე. უბანზე განლაგებულია №54 საექსპლუატაციო ბურღილი, რომელსაც გააჩნია სანიტარიული დაცვის პირველი ზონა.

ზონა შემოღობილია მეტალის ბადით და კეთილმოწყობილია; არსებული ზონის ფართობი უდრის 675,1 მ^2, ხოლო საზღვრების საერთო სიგრძე – 105,8 მეტრს. ზონის ტერიტორია იმყოფება ნორმალურ სანიტარიულ მდგომარეობაში. უბნის ზედაპირი დახრილია მდინარისაკენ, რაც უზრუნველყოფს უბნის ატმოსფერული ნალექების სწრაფ მოცილებას. მინერალური წყლის დიდ სიღრმეზე განლაგება და ბურღილის პირზე წყლის მაღალი წნევის არსებობა უზრუნველყოფს მინერალური წყლის საიმედო დაცვას დაბინძურებისაგან.

არსებული ზონა აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა მოწყობილია შემდეგ საზღვრებში.

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც განლაგებულია ბურღილიდან ჩრდილო-დასავლეთით 23 მ მანძილზე /აზიმუტი 315^0/. საზღვარი მიემართება აღმოსავლეთისაკენ აზიმუტი 90^0 21.7 მ მანძილზე II წერტილამდე.

აღმოსავლეთი საზღვარი II წერტილიდან მიემართება სამხრეთისაკენ მდინარის გასწვრივ 31 მ მანძილზე III წერტილამდე /უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე/.

სამხრეთი საზღვარი მიემართება III წერტილიდან დასავლეთისაკენ /აზიმუტი 270^0 – 21,3 მ მანძილზე IV წერტილამდე.

დასავლეთი საზღვარი IV წერტილიდან მიემართება ჩრდილოეთისაკენ 360^0 აზიმუტით 32,3 მ მანძილზე I წერტილამდე, სადაც ის უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს.

უბნის ფართობია 675,1 $მ^2$, საზღვრების საერთო სიგრძე კი 105,8 მ.

სანიტარიული დაცვის (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.1 შბანი №1 ჭაბურღილი №54 (ლიკანი)

მ-ი 1:500



უბანი №2

მდებარეობს სანატორიუმ „ლიკანის" №3 საძილე კორპუსის ჩრდილო-აღმოსავლეთით 70 მ-ის მანძილზე. აქ რკინის გალიაში განლაგებულია №102 დასაკვირვებელი ბურღილი. სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა შემოღობილია მეტალის ბადით და კეთილმოწყობილია. უბნის ზედაპირი დახრილია, რაც უზრუნველყოფს უბნიდან ატმოსფერული ნალექების სწრაფ მოცილებას. არსებული ზონა აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა მოწყობილია შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილის სამხრეთ-დასავლეთით 20 მ მანძილზე /აზიმუტი 245^0/. საზღვარი მიემართება 30^0 აზიმუტით ჩრდილო-აღმოსავლეთით II წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 36 მ.

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება II წერტილში და აზიმუტით 120^0 მიემართება აღმოსავლეთისაკენ III წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 22 მ.

სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი **III** წერტილიდან მიემართება სამხრეთისაკენ აზიმუტით 210^0 36 მ მანძილზე და მთავრდება IV წერტილში.

სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი IV წერტილიდან მიემართება აზიმუტით 300^0 და I წერტილში უერთდება ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს. საზღვრის სიგრძეა 23 მ.

სანიტარიული დაცვის პირველი ზონის ტერიტორიის ფართობი უდრის 810 $მ^2$, საზღვრების საერთო სიგრძე – 117მ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.2 უბანი №2 ჭაბურღილი-№102 (ბორჯომი-ლიკანი).

მ-ი 1:500



უბანი №3

განლაგებულია სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანის" ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. სანატორიუმის ტერიტორია შემოფარგლულია კაპიტალური ღობით, შესვლა მკაცრად კონტროლირებადია.

არსებული ზონა, სადაც განლაგებულია №59 საექსპლუატაციო ბურღილი, შემოღობილია მეტალის ბადით, მისასვლელი გზა ასფალტირებულია, ტერიტორია კეთილმოწყობილია, გაყვანილია ბილიკები, გაშენებულია ხეები და გაზონები. უბნის ზედაპირი დაქანებულია მდინარისაკენ, რაც უზრუნველყოფს ატმოსფერული ნალექების სწრაფ ჩადენას და ტერიტორიის გაწმენდას.

არსებული ზონა ძირითადად აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა მოწყობილია შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში /არსებული ღობის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე/ და მიემართება აზიმუტით 115^0 აღმოსავლეთისკენ II წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 27.8 მ-ი.

აღმოსავლეთი საზღვარი II წერტილიდან მიემართება მდინარე მტკვრის ნაპირის გასწვრივ 35.5 მ მანძილზე და მთავრდება III წერტილში

სამხრეთი საზღვარი მიემართება III წერტილიდან დასავლეთისაკენ /აზიმუტი 288^0 21,3 IV წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 28.8 მ.

დასავლეთი საზღვარი IV წერტილიდან მიემართება 38.4 მანძილზე ჩრდილოეთისაკენ აზიმუტით 15^0 I წერტილამდე, სადაც ის უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს.

ზონის ტერიტორიის ფართობი შეადგენს 1045,7 $მ^2$, საზღვრების საერთო სიგრძე – 130,5 მ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.3 შბანი №3-ჭაბურღილი №59 (ბორჯომი-ლიკანი)

მ-ი 1:500



პირობითი აღნიშვნები

I_{09}	მოხვევის წერტილი
288° / 28.8	მიმართულების აზიმუტი / საზღვრის სიგრძე, მ
	I სანიტარული ზონა

უბანი №4

მდებარეობს ქ. ბორჯომში ახალ უბანი „ფაფა" ბორჯომის მინერალური წყლის განტვირთვის უბანზე მდინარე მტკვრის ხეობის მარჯვენა ნაპირზე. აქ განლაგებულია საექსპლუატაციო ჭაბურღილები №№123,124,124ა. სათვალთვალო ჭაბურღილები №№118.123ა. ბურღილები დაცულია რკინის გალიებით. ზონის ტერიტორია შესაღობია.

ზონის საზღვრების განლაგება იგეგმება შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 120მ მანძილზე მიემართება მდინარე მტკვრის ნაპირით აღმოსავლეთის მიმართულებით 235მ მანძილზე და მთავრდება II წერტილში.

აღმოსავლეთი საზღვარი II წერტილიდან მიემართება სამხრეთისკენ საავტომობილო გზის გასწვრივ და მთავრდება III წერტილში. საზღვრის სიგრძეა 79.21მ.

სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება III წერტილში მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და მთავრდება IV წერტილში. საზღვრის სიგრძეა 20.25მ.

სამხრეთი საზღვარი იწყება IV წერტილში, მიემართება დასავლეთისკენ და მთავრდება V წერტილში. საზღვრის სიგრძეა 187.46მ.

სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი იწყება V წერტილში, მიემართება დასავლეთისკენ და მთავრდება VI წერტილში. საზღვრის სიგრძეა 98.0მ.

დასავლეთის საზღვარი VI წერტილიდან მიემართება ჩრდილო-დასავლეთისკენ და უერთდება ჩრდილოეთის საზღვარს I წერტილში. საზღვრის სიგრძეა 48.1 მეტრი.

ზონის ფართობია 18770 $მ^2$-ი, საზღვრის საერთო სიგრძე 668.74 მ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.4 შბანი №4-ჭაბურღილები №№118,123,123ა,124,124ა.

მ-ი 1:1500 (ბორჯომი-„ფაფა")



III უბანი №5

განლაგებულია ქ. ბორჯომში ბაზრის ტერიტორიის სამხრეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონის ფართობი უდრის 2836 $მ^2$, საზღვრების საერთო სიგრძე – 218 მ-ს. უბანი მთლიანად შემოფარგლულია რკინის მესერით, რომელიც ჩამაგრებულია ბეტონის საძირკველში. ტერიტორია კეთილმოწყობილია, იმყოფება სანიტარიულად კარგ მდგომარეობაში. უბნის ზედაპირი დახრილია მდინარისაკენ, რაც უზრუნველყოფს ატმოსფერული ნალექების სწრაფ ჩადენას მდინარეში და ზონის ტერიტორიის დასუფთავებას. ზონის ფართობი და მისი კეთილმოწყობა სრულად აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უბანზე განლაგებულია №№ 41 P და 125 ბურღილები, რომლებიც განთავსებულია კაპიტალურ საკაპტაჟე ნაგებობაში.

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში /არსებული ღობის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე/, მიემართება 67^0 – აზიმუტით აღმოსავლეთის მიმართულებით 40მ მანძილზე II წერტილამდე.

აღმოსავლეთი საზღვარი II წერტილიდან მიემართება მტკვრის ნაპირის გასწვრივ 65 მ მანძილზე სამხრეთის მიმართულებით III წერტილამდე.

სამხრეთი საზღვარი იწყება III წერტილში და 247^0 აზიმუტით მიემართება დასავლეთისაკენ აზიმუტი IV წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 50 მ.

დასავლეთი საზღვარი IV წერტილში, მიემართება ჩრდილოეთისაკენ 337^0 აზიმუტით 63 მ მანძილზე I წერტილამდე, სადაც იგი უერთდება ზონიხ ჩრდილოეთ საზღვარს.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.5 შბანი №5-ჭაბურღილი №41 და125 (ბორჯომი)

მ-ი 1:500



პირობითი აღნიშვნები

I16	მოხვევის წერტილი
337° / 63.0	მიმართულების აზიმუტი / საზღვრის სიგრძე, მ
	I სანიტარული ზონა

უბანი №6

განლაგებულია ბორჯომ-პარკის ტერიტორიაზე, მდინარე ბორჯომულას მარჯვენა ნაპირზე. უბანზე განლაგებულია №1 საექსპლუატაციო ჭაბურღილი, მის ირგვლივ შეუძლებელია პირველი ზონის შეღობვა. ბურღილის მდებარეობა მუდმივად დაცულ პარკის ტერიტორიაზე თავისთავად უზრუნველყოფს მის საიმედო სანიტარიულ დაცვას.

ზონის ტერიტორია არის ნორმალურ სანიტარიულ მდგომარეობაში და მისი კეთილმოწყობა აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.

ზონა მოწყობილია შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 30 მ მანძილზე შემდგომ საზღვარი მიემართება 23,0 მ მანძილზე აღმოსავლეთისაკენ II წერტილამდე.

აღმოსავლეთი საზღვარი იწყება **II** წერტილში და მიემართება სამხრეთით 25მ მანძილზე და მთავრდება III წერტილში.

სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება III წერტილში და მიემართება მდინარე ბორჯომულას ნაპირას IV წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 35 მ.

სამხრეთი საზღვარი იწყება IV წერტილში და მიემართება V წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 14 მ.

დასავლეთი საზღვარი იწყება V წერტილში, მიემართება 10 მ მანძილზე, შემდეგი საზღვარი მიჰყვება გაზონს 11,5 მ მანძილზე I წერტილამდე, სადაც იგი უერთდება ზონიხ ჩრდილოეთ საზღვარს. ზონის ფართობი უდრის 715,0 მ^2, საზღვრების საერთო სიგრძე -118,5 მ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.6 შბანი №6-ჭაბურღილი №1 (ბორჯომი-პარკი)

მ-ი 1:500



უბანი №7

განლაგებულია ბორჯომ-პარკის ტერიტორიაზე, კინოთეატრი „ბორჯომის" გვერდით. უბანზე განლაგებულია №13 სათვალთვალო ბურღილი, მის ირგვლივ შეუძლებელია პირველი ზონის შეღობვა. ბურღილის განლაგება მუდმივად დაცულ პარკის ტერიტორიაზე თავისთავად უზრუნველყოფს მის საიმედო სანიტარულ დაცვას. ზონის ტერიტორია იმყოფება ნორმალურ სანიტარიულ მდგომარეობაში და მისი კეთილმოწყობა აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.

ზონა მოწყობილია შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 30 მ მანძილზე შემდგომში საზღვარი – მიემართება 15 მ მანძილზე აღმოსავლეთისაკენ II წერტილამდე.

აღმოსავლეთი საზღვარი იწყება II წერტილში და მიემართება სამხრეთით 10 მ მანძილზე და მთავრდება III წერტილში.

სამხრეთი საზღვარი იწყება III წერტილში და მიემართება IV წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 15 მ.

დასავლეთი საზღვარი იწყება IV წერტილში, მიემართება 10.0 მ მანძილზე I წერტილამდე სადაც ის უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს.

ზონის ფართობი უდრის 150 $მ^2$, საზღვრების საერთო სიგრძე 50.0 მ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.7 შბანი №7-ჭაბურღილი №13 (ბორჯომი-პარკი)

მ-ი 1:500



პირობითი აღნიშვნები

I I — მოხვევის წერტილი

III / II.I — მიმართულება აზიმუტი / საზღვრების სიგრძე. მ.

პირველი ზონის საზღვარი

უბანი №8

განლაგებულია ბორჯომ-პარკის ტერიტორიაზე, მდინარე ბორჯომულას კალაპოტში. უბანზე განლაგებულია №21 საექსპლუატაციო ბურღილი, მის ირგვლივ შეუძლებელია პირველი ზონის შეღობვა. ბურღილის განლაგება მუდმივად დაცულ პარკის ტერიტორიაზე თავისთავად უზრუნველყოფს მის საიმედო სანიტარიულ დაცვას.

ზონის ტერიტორია იმყოფება ნორმალურ სანიტარიულ მდგომარეობაში და მისი კეთილმოწყობა აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.

ზონა მოწყობილია შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილოეთი საზღვარი

იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 5 მ მანძილზე შემდგომში საზღვარი მიემართება 5მ მანძილზე აღმოსავლეთისაკენ II წერტილამდე.

აღმოსავლეთი საზღვარი იწყება II წერტილში და მიემართება სამხრეთით 5 მ მანძილზე და მთავრდება III წერტილში.

სამხრეთი საზღვარი

იწყება III წერტილში და მიემართება IV წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 5 მ.

დასავლეთი საზღვარი იწყება IV წერტილში, მიემართება 5მ მანძილზე I წერტილამდე სადაც ის უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს.

ზონის ფართობი უდრის 25 მ^2, საზღვრების საერთო სიგრძე 20.0 მ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.8 შბანი №8 ჭაბურღილი-№21 (ბორჯომი-პარკი)

მ-ი 1:200



უბანი №9

განლაგებულია მშენებარე სასტუმრო კომპლექსის ტერიტორიაზე, მდინარე ბორჯომულას მარცხენა ნაპირას. უბანზე განლაგებულია №21 საექსპლუატაციო ბურღილი, მის ირგვლივ შეუძლებელია პირველი ზონის შეღობვა. ბურღილის განლაგება მუდმივად დაცულ სასტუმრო კომპლექსის ტერიტორიაზე თავისთავად უზრუნველყოფს მის საიმედო სანიტარიულ დაცვას. სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის დამთავრებისთანავე მოეწყობა სანიტარიული დაცვის ზონა შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილოეთი საზღვარი

იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 25 მ მანძილზე შემდგომში საზღვარი მიემართება მდ. ბორჯომულას ნაპირით 15 მ მანძილზე აღმოსავლეთისაკენ II წერტილამდე.

აღმოსავლეთი საზღვარი იწყება II წერტილში და მიემართება სამხრეთით 10 მ მანძილზე და მთავრდება III წერტილში.

სამხრეთი საზღვარი იწყება III წერტილში და მიემართება IV წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 15 მ.

დასავლეთი საზღვარი იწყება IV წერტილში, მიემართება 10 მ მანძილზე I წერტილამდე სადაც ის უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს.

ზონის ფართობი უდრის 150 მ^2, საზღვრების საერთო სიგრძე 50.0 მ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.9 შბანი №9-ჭაბურღილი №21ე (ბორჯომი-პარკი)

მ-ი 1:500



უბანი №10

განლაგებულია სანატორიუმი „მთის ხეობის” სამხრეთ-დასავლეთ 40 მ მანძილზე. აქ მდებარეობენ ბორჯომის მინერალური წყლის №101- Э და სულფიდური მინერალური წყლის №106 ჭაბურღილები .№106 ჭაბურღილი დაცულია რკინის მესერით, №101- Э ბურღილზე მოწყობილია საკაპტაჟე ტიპის შენობა.

ბურღილის ირგვლივ ტერიტორია შეზღუდულია სანატორიუმის ნაგებობებით და ციცაბო ფერდობით, რომელიც ეშვება ბორჯომი-თბილისის საავტომობილო გზისაკენ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონის საზღვრები შემდეგია:

ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იწყება Iწერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 35 მ დასავლეთით /აზიმუტი 270^0/ და მიემართება II წერტილამდე აზიმუტით 30^0. საზღვრის სიგრძეა 22 მ.

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება II წერტილში და მიემართება 19,0 მ მანძილზე აზიმუტით 120^0 III წერტილამდე.

სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი III წერტილიდან აზიმუტით 210^0 მიემართება IV წერტილამდე. საზღვრის სიგრძე 23 მ.

სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი IV წერტილიდან აზიმუტით 300^0 მიემართება ჩრდილოეთისაკენ 1 წერტილამდე, სადაც ის უერთდება ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს. საზღვრის სიგრძეა 17,0 მ.

ზონის ფართობი 406 $მ^2$-ია, საზღვრის საერთო სიგრძე 81 მ-ი.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა ნახ.10 უბანი №10-ჭაბურღილი №№101ე და 106 (ბორჯომი) მ-ი 1:500



პირობითი აღნიშვნები

I I — მოხვევის წერტილი

111 / 11.I — მიმართულება აზიმუტი / სახლვრების სიბრძე. მ.

პირველი ზონის საზღვარი

უბანი №11

განლაგებულია სანატორიუმი „მთის ხეობის" ჩრდილო-აღმოსავლეთით, საქვაბის მახლობლად, უსახელო მდინარის ხეობაში. აქ რკინის კლიტულში განთავსებულია №103 სათვალთვალო ბურღილი.

ტერიტორია ბურღილის ირგვლივ შეზღუდულია: აღმოსავლეთიდან მდინარის ციცაბო ნაპირით, სამხრეთ-დასავლეთიდან –აქ გამავალი ორი გრუნტის გზით, რომლებიც მიემართებიან ხეობის სიღრმეში.

ბურღილში მინერალური წყლის დონის ღრმად განლაგება /780 მ/, წყალგაუმტარი ქანების ჰორიზონტის არსებობა და ბურღილის განლაგება დაუსახლებელ ტერიტორიაზე პრაქტიკულად გამორიცხავენ მინერალური წყლის დაბინძურებას. ამიტომ დადგენილია ზონა, რომლის გამოყოფა შესაძლებელია არსებულ პირობებში.

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილის ჩრდილო-დასავლეთით 23მ მანძილზე /აზიმუტი 300^0/. შემდგომში საზღვარი აზიმუტით 65^0 მიემართება აღმოსავლეთი მიმართულებით II წერტილამდე. საზღვრის სიგრძე 22,7 მ-ია.

აღმოსავლეთი საზღვარი II წერტილიდან მიუყვება მდინარის მარჯვენა ნაპირს 62,5 მ. მანძილზე და მთავრდება III წერტილში.

სამხრეთი საზღვარი იწყება III წერტილში და აზიმუტით 265^0 მიემართება IV წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 22.7 მ.

დასავლეთი საზღვარი IV წერტილიდან მიემართება ჩრდილოეთის მიმართულებით გრუნტის გზის გასწვრივ I წერტილამდე. სადაც ის უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს. საზღვრის სიგრძე უდრის 62.5 მ. ზონის ფართობი უდრის 1418,7 $მ^2$, საზღვრების საერთო სიგრძე 170.4 მ-ს.


სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა
ნახ.11 შბანი №11-ჭაბურღილი №103 (ბორჯომი)
მ-ი 1:500
I
II
III
IV
65°
22.7
265°
22.7
s=1418.7 კვ.მ
ბურღილი № 103
62.5
62.5
საქვაბე
პირობითი აღნიშვნები
I
მოხვევის წერტილი
65°
30
აზიმუტი
სიგრძე, მ
I ზონის საზღვრები

უბანი №12

განლაგებულია ქ. ბორჯომში მდ. გუჯარეთისწყლის მარცხენა ტერასაზე. აქ განლაგებულია №129 საექსპლუატაციო, №№-128, 127 და 122 დასაკვირვებელი ბურღილები, რომლებიც შემოფარგლულია არსებული სანიტარიული დაცვის ზონით. ზონა შეზღუდულია რკინიგზის ხაზით და მდინარით. საპროექტო ზონა ითვალისწინებს საზღვრების გაფართოებას დასაშვებ ფარგლებში ყველა მიმართულებით, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთისა, ვინაიდან ამ მხრიდან მას ემიჯნება მდ .გუჯარეთის წყლის კალაპოტი.

მოქმედ კანონთან შესატყვისობაში მოსაყვანად რეკომენდირებულია პირველი ზონის მოწყობა შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან ჩრდილო-დასავლეთით 95 მ მანძილზე /აზიმუტი 300^0/ და მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით 60^0 აზიმუტით II წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 13.69 მ.

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება III წერტილში და მიემართება აზიმუტით 150^0 III წერტილამდე. საზღვრის სიგრძე უდრის 164.83 მ-ს.

სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი III წერტილიდან მიემართება აზიმუტით 240^0 სამხრეთ-დასავლეთისაკენ 19.4მ მანძილზე IV წერტილამდე.

სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი IV წერტილიდან მიემართება აზიმუტით 330^0 ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და I წერტილში უერთდება ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს. საზღვრის სიგრძეა 168.59მ-ი.

უბნის ფართობი 3036.0 $მ^2$-ია, საზღვრის საერთო სიგრძე - 366.51 მ.

სანიტარიული დაცვის (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.12 შბანი №12-ჭაბურღილები №№122,127,128 და 129

მ-ი 1:1500 (ბორჯომი)



პირობითი აღნიშვნები

I I — მოხვევის წერტილი

111 / 11.1 — მიმართულება აზიმუტი / საზღვრების სიგრძე. მ.

კირველი ზონის საზღვარი

უბანი №13

განლაგებულია ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს ცენტრალურ და ვაშლოვანი-ყვიბისის უბნებს შორის, სოფ. ვაშლოვანის სამხრეთ ნაწილში. უბანზე განთავსებულია დასაკვირვებული ბურღილი №9 შეზღუდულია ჩრდილოეთიდან მაღალი ძაბვის ხაზის საყრდენით, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან – გრუნტის გზებით და მაცხოვრებლების ეზოთი, მდ. მტკვრის მხრიდან – ხეობის ციცაბო ფერდობით. ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა ის რომ ბურღილს არ გააჩნია არც დამცავი ნაგებობა, არც სანიტარიული დაცვის (მკაცრი რეჟიმის) პირველი ზონის მოწყობის ნორმალური პირობები.

სანიტარიული დაცვის I ზონის საზღვრები შემდეგია:

ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 მ მანძილზე /აზიმუტი 215^0/ აქედან საზღვარი აზიმუტით 20^0 მიემართება ჩრდილოეთისაკენ II წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 2მ.

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება II წერტილში და მიემართება 1.0 მანძილზე აღმოსავლეთისაკენ აზიმუტით 137^0 III წერტილამდე.

სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი მიემართება აზიმუტით 219^0 III წერტილიდან IV წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 2 მ.

სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი IV წერტილიდან აზიმუტით 295^0 მიემართება დასავლეთისაკენ I წერტილამდე, სადაც უერთდება ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს. საზღვრის სიგრძეა 1 მ.

ზონის ტერიტორიის ფართობი უდრის 2.0 $მ^2$, ხოლო საზღვრების საერთო სიგრძე 6 მ-ს.

ბურღილის ეფექტური დაცვისათვის საჭირო შეიღობოს არსებული სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა, და ჭაბურღილის მოთავსება დამცავ ჭაში /2,0X2,0X1.5მ/, მოხდეს პირველი ზონის ტერიტორიის და მიმდებარე გრუნტის გზების მოასფალტება ისეთი ქანობით, რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიიდან ატმოსფერული ნალექების სწრაფ მოცილებას.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.13 შბანი №13-ჭაბურღილი №9 (ვაშლოვანი)

მ-0 1:500



უბანი №14

მდებარეობს მდ.მტკვრის ხეობის მარცხენა ფერდობზე, №25 ბურღილიდან 600 მ ჩრდილოეთით ყოფილ რესტორან „ხეობასთან". განლაგებული დასაკვირვებელი №67 ბურღილი განთავსებულია რკინის გალიაში. არსებული ზონის საზღვრები აკმაყოფილებენ კანონის მოთხოვნებს.

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 16 მ მანძილზე /აზიმუტი 280^0/. მიემართება გზის პირას აღმოსავლეთის მიმართულებით 26 მ მანძილზე და მთავრდება II წერტილში.

აღმოსავლეთი საზღვარი II წერტილიდან მიემართება სამხრეთისაკენ 192^0 აზიმუტით და მთავრდება III წერტილში. საზღვრის სიგრძეა 26 მ.

სამხრეთი საზღვარი იწყება III წერტილში აზიმუტით 282^0 მიემართება დასავლეთისაკენ და მთავრდება IV წერტილში. საზღვრის სიგრძეა 26 მ.

დასავლეთი საზღვარი IV წერტილიდან მიემართება ჩრდილოეთისაკენ 12^0 აზიმუტით და უერთდება ჩრდილოეთის საზღვარს I წეტილში. საზღვრის სიგრძე უდრის 26 მ-ს.

ზონის ფართობი უდრის 676 $მ^2$-ს, საზღვრების საერთო სიგრძეა 104 მ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ14 შბანი №14-ჭაბურღილი №67 (ვაშლოვანი)

მ-ი 1:500



პირობითი აღნიშვნები

I	მოხვევის წერტილი
12° / 30	აზიმუტი / სიგრძე, მ
	I ზონის საზღვრები

უბანი №15

განთავსებულია სოფ. ყვიბისის დასავლეთ ნაწილში მდ. მტკვარზე არსებული საავტომობილო ხიდის 100 მ ჩრდილოეთით. აქ მოქმედებს №25 საექსპლუატაციო ბურღილი.

არსებული პირველი ზონის ტერიტორია კეთილმოწყობილია, შემოფარგლულია მეტალის ბადის ღობით. მისასვლელი გზა და ტერიტორიის ნაწილი, რომელიც განლაგებულია ბურღილთან, ასფალტირებულია, მოწყობილია ბორდიურები. დანარჩენი ტერიტორიაც დასუფთავებულია და იმყოფება კარგ სანიტარიულ მდგომარეობაში. ზონის ზედაპირი დახრილია მდ. მტკვრისაკენ, რაც უზრუნველყოფს ატმოსფერული ნალექების სწრაფ ჩადენას მდინარეში.

არსებული ზონის ფართობი და მისი კეთილმოწყობა აკმაყოფილებენ კანონის მოთხოვნებს.

ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ღობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში და მიემართება ჩრდილოეთისაკენ აზიმუტით 55^0 10,6 მანძილზე II წერტილამდე.

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება II წერტილში და მიემართება აღმოსავლეთისაკენ 15.2 მ მანძილზე აზიმუტით 75^0 III წერტილამდე.

აღმოსავლეთი საზღვარი შედგება ორი მონაკვეთისაგან. პირველი მონაკვეთი იწყება III წერტილში და აზიმუტით 165^0 მიემართება 16.2 მ მანძილზე სამხრეთის მიმართულებით IV წერტილამდე. მეორე მონაკვეთი IV წერტილიდან მიემართება 43,4მ მანძილზე მტკვრის ნაპირის გასწვრივ სამხრეთის მიმართულებით V წერტილამდე.

სამხრეთი საზღვარი V წერტილიდან 6.35 მ მანძილზე მიემართება 255^0 აზიმუტით VI წერტილამდე.

დასავლეთი საზღვარი VI წერტილიდან მიემართება მრუდე ხაზის სახით 47.4 მ მანძილზე და I წერტილში უერთდება ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს.

ზონის ფართობი უდრის 1049.4 $მ^2$-ს, საზღვრების საერთო სიგრძე – 139.15 მ-ს.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.15 შბანი №15-ჭაბურღილი №25ე (ვაშლოვანი)

მ-ი 1:500



პირობითი აღნიშვნები

I_{37}	მოხვევის წერტილი
55° / 10.60	მიმართულების აზიმუტი / საზღვრის სიგრძე, მ
	I სანიტარული ზონა

უბანი №16

განლაგებულია სოფ. ყვიბისის ცენტრში. აქ კაპიტალური ტიპის საკაპტაჟე ნაგებობაში განთავსებულია №37 საექსპლუატაციო ბურღილი. უბნის ტერიტორიას სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ემიჯნება საავტომობილო გზები, მდინარე ყვიბისი, ზონის გაფართოება პრაქტიკულად შეუძლებელია. სანიტარული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა შემოღობილია შემდეგ ფარგლებში.

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 30 მ მანძილზე /აზიმუტი 3100/. შემდგომში საზღვარი მიემართება 30 მ მანძილზე აღმოსავლეთისაკენ აზიმუტით 80^0 II წერტილამდე.

აღმოსავლეთი საზღვარი იწყება II წერტილში და მიემართება სამხრეთით აზიმუტით 173^0 6 მ მანძილზე, შემდგომ საზღვარი მიუყვება არსებული გრუნტის გზის ნაპირს 12.5 მ მანძილზე და მთავრდება III წერტილში. საზღვრის საერთო სიგრძეა 18.5 მ.

სამხრეთი-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება III წერტილში და მიემართება 238^0 აზიმუტით IV წერტილამდე. საზღვრის სიგრძე 151 მ.

სამხრეთი საზღვარი საზღვარი იწყება IV წერტილში და აზიმუტით 263^0 მიემართება 20 მ მანძილზე I წერტილამდე, სადაც ის უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს.

ზონის ფართობი უდრის 638.9 $მ^2$-ს, საზღვრების საერთო სიგრძე – 102 მ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.16 შბანი №16-ჭაბურღილი №37 (ყვიბისი)

მ-ი 1:500



პირობითი აღნიშვნები

I — მოხვევის წერტილი

80° / 30 — აზიმუტი / სიგრძე, მ

—— I ზონის საზღვრები

უბანი №17

განლაგებულია მდ. ყვიბისის მარჯვენა ნაპირზე და ემიჯნება: სამხრეთიდან – მდ. ყვიბისის ციცაბო ნაპირს, ჩრდილოეთიდან – გრუნტის გზას და საცხოვრებელ სახლს, აღმოსავლეთიდან – ხიდს. უბანზე განლაგებულია №37ə დასაკვირვებელი ბურღილი მოთავსებულია კაპიტალურ საკაპტაჟე შენობაში, რომელიც ამჟამად საჭიროებს რემონტს. სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა შესაღობია. არსებული ზონის ფართობი სრულად აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა მოწყობილია შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან ჩრდილო-დასავლეთით 24 მ მანძილზე /აზიმუტი 305^0/. საზღვარი მიემართება აღმოსავლეთისაკენ აზიმუტით 90^0 და მთავრდება II წერტილში. საზღვრის სიგრძეა 11,2 მ.

აღმოსავლეთი საზღვარი II წერტილიდან მიემართება სამხრეთისაკენ და მთავრდება III წერტილში. საზღვრის საერთო სიგრძეა 9.6 მ.

სამხრეთი საზღვარი იწყება III წერტილში, მიუყვება 11,2 მ მანძილზე მდ. ყვიბისის ნაპირს და მთავრდება IV წერტილში.

დასავლეთი საზღვარი IV წერტილიდან აზიმუტით 360^0 მიემართება ჩრდილოეთისაკენ I წერტილამდე, სადაც ის უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს. საზღვრის სიგრძე უდრის 9,6 მ-ს.

ზონის ფართობი 100.8 $მ^2$-ია, საზღვრების საერთო სიგრძე – 41,6 მ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.17 შბანი №17-ჭაბურღილი №37ე (ყვიბისი)

მ-ი 1:500



უბანი №18

მდებარეობს №2 ჩამომსხმელი ქარხნის მთავარი კორპუსის 150 მ სამხრეთით, სოფ. ყვიბისის განაპირას. აქ საკაპტაჟე შენობაში განთავსებულია №38 დასაკვირვებელი ბურღილი.

სანიტარიული დაცვის პირველი ზონის მოწყობა გართულებულია მხოლოდ სამხრეთ ნაწილში. ამ მხრიდან მას ესაზღვრება საავტომობილო გზა ყვიბისი-ვარდგინეთი და მაცხოვრებლების სახლები და ეზოები.

პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა მოწყობილია შესაძლებელია შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 21 მ ჩრდილო-დასავლეთით /აზიმუტი 315^0/. შემდგომში მიემართება აღმოსავლეთისაკენ 90^0 აზიმუტით 30 მ მანძილზე და მთავრდება II წერტილში.

აღმოსავლეთი საზღვარი იწყება II წერტილში, მიემართება სამხრეთისაკენ /აზიმუტი 180^0/ III წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 30 მ.

სამხრეთი საზღვარი იწყება III წერტილში, მიუყვება გზის ნაპირს 31 მ მანძილზე IV წერტილამდე.

დასავლეთი საზღვარი იწყება IV წერტილში, მიემართება ჩრდილოეთის მიმართულებით აზიმუტით 360^0 I წერტილამდე, სადაც ის უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს. საზღვრის სიგრძეა 30 მ.

უბნის ფართობი შეადგენს 915,0 $მ^2$-ს, საზღვრის საერთო სიგრძე – 121 მ-ს.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.18 შბანი №18-ჭაბურღილი №38 (ყვიბისი)

მ-ი 1:500



პირობითი აღნიშვნები

I — მოხვევის წერტილი

90° — აზიმუტი

30 — სიგრძე, მ

I ზონის საზღვრები (პროექტი)

უბანი №19

განლაგებულია სოფ. ყვიბისში №2 ჩამომსხმელი ქარხნის ეზოში. უბანზე გაყვანილია წყალამქცევი არხი, მისი ტერიტორია მოასფალტებულია და შემოღობილი. აქ რკინის გალიაში განლაგებულია №38 საექსპლუატაციო ბურღილი, ასევე განთავსებულია გამზომი ხელსაწყოები. არსებული ზონა უზრუნველყოფს ბურღილის სანიტარიულ დაცვას.

ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 18 მ დასავლეთით /აზიმუტი 290^0/ შემდეგ საზღვარი მიემართება აღმოსავლეთისაკენ აზიმუტით 60^0 14,6მ მანძილზე და მთავრდება II წერტილში.

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება II წერტილში, მიემართება სამხრეთით აზიმუტით 150^0 და მთავრდება III წერტილში. საზღვრის სიგრძეა 25,6 მ.

სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება III წერტილში მიემართება დასავლეთისაკენ აზიმუტით 2330 და მთავრდება IV წერტილში. საზღვრის სიგრძეა 11,2 მ.

სამხრეთ დასავლეთი საზღვარი იწყება IV წერტილში, მიემართება ჩრდილოეთით I წერტილამდე, სადაც უერთდება ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს. საზღვრის სიგრძეა 27,7 მ.

ზონის ფართობი შეადგენს 343,8 $მ^2$-ს, საზღვრის საერთო სიგრძეა 79,1 მ.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.19 შბანი №19-ჭაბურღილი №38ე (ყვიბისი)

მ-ი 1:500



უბანი №20

განლაგებულია სოფ. ყვიბისის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას, მდინარე ყვიბისის ფერდობზე. აქ რკინის კლიტულში განთავსებულია №47 დასაკვირვებელი ბურღილი. უბანს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება საავტომობილო გზა, რომლისაგანაც ბურღილამდე მანძილი შეადგენს 3 მ-ს.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონის საზღვრები შემდეგია:

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 15 მ მანძილზე /აზიმუტი 312^0/. საზღვარი მიუყვება აღმოსავლეთით 7,2 მ მანძილზე და მთავრდება II წერტილში.

აღმოსავლეთი საზღვარი იწყება II წერტილში, მიემართება სამხრეთისაკენ აზიმუტი 207^0 და მთავრდება III წერტილში. საზღვრის სიგრძეა 14 მ.

სამხრეთი საზღვარი იწყება III წერტილში, მიემართება დასავლეთისაკენ აზიმუტით 276^0 და მთავრდება IV წერტილში. საზღვრის სიგრძეა 7,2 მ.

დასავლეთი საზღვარი IV წერტილიდან, მიემართება ჩრდილოეთისაკენ 14 მ მანძილზე /აზიმუტი 4^0/ და I წერტილში უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს.

ზონის ფართობი შეადგენს 100,8 $მ^2$-ს, საზღვრის საერთო სიგრძე – 42,4 მ-ს.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონა

ნახ.20 უბანი №20-ჭაბურღილი №47 (ყვიბისი)

მ-ი 1:500



პირობითი აღნიშვნები

I63 მოხვევის წერტილი

4° / 30 აზიმუტი / სიგრძე, მ

I ზონის საზღვრები

უბანი №21

განლაგებულია სოფ. ყვიბისის სამხრეთ ნაწილში, სოფლის განაპირას. აქ კაპიტალური საკაპტაჟე ნაგებობაში განთავსებულია დასაკვირვებელი **ბურღილი** 70. საკაპტაჟე ნაგებობა ბურღილის ტერიტორიას ესაზღვრება: დასავლეთიდან – გრუნტის გზა, აღმოსავლეთიდან – მდინარის ციცაბო ნაპირი, ჩრდილოეთიდან – შენობები და სავარგულები. ზემოთ აღნიშნულის გამო სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) მოწყობა მოხერხდა მხოლოდ შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება I წერტილში, რომელიც მდებარეობს ბურღილიდან 4მ მანძილზე /აზიმუტი 317^0/ მიემართება აღმოსავლეთისაკენ აზიმუტით 90^0 II წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 6,8 მ.

აღმოსავლეთი საზღვარი II წერტილიდან მიემართება სამხრეთით აზიმუტით 180^0 III წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 80 მ.

სამხრეთი საზღვარი იწყება III წერტილში და აზიმუტით 270^0 მიემართება IV წერტილამდე. საზღვრის სიგრძეა 6,8 მ.

დასავლეთი საზღვარი იწყება IV წერტილში, 360^0 აზიმუტით მიემართება 8მ მანძილზე I წერტილამდე, სადაც ის უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს.

ზონის ფართობი $54მ^2$-ია, საზღვრის საერთო სიგრძე 296 მ-ია.

სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის)ზონა

ნახ.21 უბანი №21-ჭაბურღილი №70 (ყვიბისი)

მ-ი 1:500



პირობითი აღნიშვნები

- მოხვევის წერტილი
- 90° / 30 — აზიმუტი / სიგრძე, მ
- I ზონის საზღვრები
- საკარმიდამოს ღობე

დანართი №2

სანიტარიული დაცვის პირველი ზონის

გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ნუსხა

№	ღონისძიების დასახელება	შემსრულებელი	შესრულების ვადა
1	№№38,123,124, 124ᵃ , 129 ჭაბურღილებზე აღრიცხვის კვანძის მოწყობა და მრიცხველების დამონტაჟება	ლიცენზიის მფლობელი	2014 წ.
2	№№41,54,59,125,25,38, 37 საექსპლოატაციო ჭაბურღილებზე პირველი სანიტარიული ზონების რეაბილიტაციის პროექტების მომზადება და შესრულება	ლიცენზიის მფლობელი	2014-2016 წწ.
3	№№118, 123, 123ᵃ, 124, 124ᵃ ჭაბურღილების პირველი სანიტარიული ზონის (უბანი №4) მთლიანი ტერიტორიის შემოღობვა	ლიცენზიის მფლობელი	2014-2015 წწ.
4	მწვანე ნარგავებისა და ბალახის საფარის მოვლა და კონტროლი ყველა საექსპლოატაციო და სათვალთვალო ჭაბურღილის სანიტარიული დაცვის პირველ ზონაში	ლიცენზიის მფლობელი	მუდმივად

დანართი №3

სანიტარიული დაცვის პირველი ზონის ტერიტორიაზე

აკრძალულ ღონისძიებათა ნუსხა

№	ღონისძიების დასახელება
1	სამუშაოები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არ არის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენებასთან
2	საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობა
3	სამთო და მიწის სამუშაოები

4	ფიზიკური პირების მუდმივად ან დროებით ცხოვრება
5	ნაგავსაყრელების მოწყობა და საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების ნებისმიერი ფორმით განთავსება (გარდა სანაგვე კონტეინერებისა)
6	საკანალიზაციო სისტემის იმგვარი დაპროექტება და ექსპლუატაცია, რომელიც გამოიწვევს ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურებას, უარყოფითად იმოქმედებს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე, აგრეთვე კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიულ მდგომარეობაზე.